„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №19-20 (9585-86) ● 1-31 ოქტომბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები
რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები

3 "საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია"
4 კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა
5 "ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"
6 "ევროპელი დემოკრატები"
8 "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"
9 "ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!"
10 საქართველოს ლეიბორისტული პარტია
12 "ჩვენი გაერთიანებული საქართველო"
16 "შეცვალე საქართველო"
17 "საქართველო"
20 თავისუფალი საქართველო
21 ტრიბუნა
23 "ჩვენ"
25 "გახარია საქართველოსთვის"
26 "მემარცხენე ალიანსი"
27 ქართველ ერთობა
36 "გირჩი"
41 ქართული ოცნება

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

მძიმე დღეების ეპოპეა

31 წელი გვაშორებს აფხაზეთის ავადმოსაგონარ ტრაგედიას. განვლილი წლები დიდი ტკივილია აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის, მათ გარშემომყოფთათვის.

1993 წლის 27 სექტემბერი - ეს არის სოხუმის დაცემის უმძიმესი დღე. ამასთან დღე, როცა ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური სენაკის გამორჩეულმა შვილმა, საქართველოს ეროვნულმა გმირმა - ჟიული შარტავამ თავის თანამებრძოლებთან ერთად თავი დადო სამშობლოსათვის და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

საქართველოს ერთიანობას შესწირეს თავი ჩვენმა თანაქალაქელებმა: ბატონებმა გენო ადამიამ, გურამ გაბესკირიამ, ნოდარ კანკიამ, ლევან ჭუბაბრიამ, რობერტ სანიკიძემ, ქალბატონმა ლინა ეჯიბიამ.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან შეთანხმებით მუზეუმში შედგა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულ ჩვენს თანაქალაქელთა ხსოვნის კვირეული, მუზეუმში მოეწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური სვლა, ჩატარდა ექსკურსია-გაკვეთილები და ა.შ.

საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და პერიოდული პრესის გამოფენა. სასპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობით ჩატარდა ღია ტურნირი ჭადრაკში.

სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით 27 სექტემბერს სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით. გენო ადამიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის ეზოში მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს ნოდარ კანკიას ბიუსტი.

კვირეულის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ორგანიზებული ჩართულობით გამოირჩეოდნენ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზია, სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი, კერძო სკოლები ,,მარიოტა" და ,,პელაგონი" (პედაგოგები: მარიამ დემურია, ნინო რეკვავა, ბაია კუპრეიშვილი, ნინო ფრანგიშვილი, ლუკა კილასონია).

მუზეუმში დამთვალიერებელთ მეგზურობას უწევდნენ: ნანა ფირცხალავა, გრიალა მირგატია და მაია ლაშქარავა. 27 სექტემბერს დილიდან ხალხმრავლობა იყო მუზეუმში. პირველები მუზეუმს სტუმრობდნენ

უშაფათის საჯარო სკოლის V და VI კლასის მოსწავლეები (დირექტორი - ლორინა ჩხეტია, კლასის ხელმძღვანელები: ლარისა საბახტარიშვილი და ხათუნა ქვარცხავა).

მუზეუმში ჩატარდა ღონისძიება: ,,სენაკი გმირების ქალაქია - თქვენ საქართველო გეფერებათ სწორუპოვარო რაინდებო", რომელსაც უძღვებოდა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტი ქალბატონი მარინე აბრამია. საქართველო მარად იამაყებს თქვენი სახელებით გმირებო, აფხაზეთის ომში დაღუპულო ვაჟკაცებო"- აღნიშნა მან. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამშობლოს შეწირულ გმირებს.

ღონისძიების ძირითადმა მომხსენებელმა, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ქალბატონმა ნანა ფირცხალავამ თავისი შინაარსიანი გამოსვლით, ვრცლად გააშუქა აფხაზეთის ტრაგიკული დღეების ქრონოლოგია, თანამედროვე სიტუაცია . . .

ემოციურად დატვირთული იყო ღონისძიებაზე გამომსვლელი ქალბატონის ინგა ზარანდიას, ბატონების შახი კვირაიასა და დამირ კუჭავას პათოსი. ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ - გაბრიელ ინალიშვილმა წაიკითხა შოთა ნიშნიანიძის ლექსი ,,აფხაზური კანტატა".

ღონისძიების დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ ჟიული შარტავასა და გურამ გაბესკირიას ახლობლები, აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონები: ირმა ალასანია და ლეილა გაბესკირია.

მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიების მონაწილეთ სატელეფონო ზარით შეეხმიანა ჟიული შარტავას და, სენაკის საპატიო მოქალაქე ქალბატონი ცისანა შარტავა. მან კეთილგანწყობა და დიდი სიყვარული გამოხატა შეკრების მონაწილეებისადმი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ზაზა ნაჭყებიამ და მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა ბატონმა გივი მისაბიშვილმა.

საღამოს ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალბატონები: ნათია ეჯიბია და გურანდა შამათავა.

ღონისძიებას ფონად გასდევდა დიმიტრი კაკულიას, ილია ცომაიას, რატი სარიასა და ირაკლი ლაკიას მიერ შესრულებული საგალობლები.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მონაწილეები შევუერთდით ქალაქის ცენტრში შეკრებილებს. ყვავილებით შევამკეთ ჟიული შარტავას, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სკვერში კი - გენო ადამიას, გურამ გაბესკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

დასასრულს სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში დავესწარით აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებელ პანაშვიდს, რომელიც აღავლინა დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა.

აღნიშნული დღე იყო ტკივილით გაჯერებული. თამამად შეგვიძლია ვთქვათ: საქართველო მარად იამაყებს ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების სახელებით - თქვენ საქართველო გეფერებათ სწორუპოვარო რაინდებო!

მზია ჭაკავა,
სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>

საერთაშორისო ტურნირზე

ხორვატიის ქალაქ პორეჩში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, სენაკელმა ფალავანმა, გიორგი ჩხიკვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ ჩვენს საამაყო სპორტსმენს და შემდგომ გამარჯვებებს ვუსურვებთ ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის გასახარად.

გიორგი ჩხიკვაძე არის საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ჭაბუკებს შორის ევროპის ორგზის პრიზიორი, 23 წლამდელთა შორის ევროპის პრიზიორი, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, საფრანგეთის გრანპრის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულების მფლობელი.

ჩვენი საამაყო ფალავანი, 21 ოქტომბერს, ალბანეთში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას.

წარმატებებს და გამარჯვებას ვუსურვებთ.

ეროვნულ ფორუმზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებმა, კულტურისა და ახალგაზრდული მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტთან, გვანცა მალანიასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით გამართულ ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ეროვნულ ფორუმზე, რომელსაც წელს, დედაქალაქმა პირველად უმასპინძლა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, ალექსანდრე წულაძემ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გიორგი ჩაკვეტაძემ და საქართველოში არსებული ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების წევრებმა - 31 მუნიციპალიტეტიდან.

ფორუმი, რომლის მიზანია - გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა, , რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა ლიდერების შესაძლებლობების განვითარება, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ცენტრალური მთავრობის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, გრძელვადიანი პარტნიორობისა და ერთობლივი ინიციატივების შემუშავება, საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდთან და ა(ა)იპ ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

უფასო პოლიტიკური რეკლამა

9 ძლიერი საქართველო - ღელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის

„ძლიერი საქართველო - ილიას გზა"

ევროკავშირის წევრობა და რუსული გავლენის შემცირება

200 000 სამუშაო ადგილი და შრომის სამართლიანი ანაზღაურება

1000 ლარი პენსია

გაა ფერადი - 9

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ინიციატივითა და რესურსცენტრთან არსებული მასწავლებელთა ასოციაციის ორგანიზებით გამართული ღონისძიება - ,,განათლების ელჩები".

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ელისო შურღაიამ, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სენაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მამუკა კუჭავამ და 2019 წლის ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკეთესო მასწავლებლის წოდების მფლობელმა, ტოლია (უტა) კილასონიამ, ნაყოფიერი, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საპატიო სიგელები გადასცეს საჯარო და კერძო სკოლების წარმატებულ პედაგოგებს: გულნარა ბარკალაიას - ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მეორე საჯარო სკოლა; ნესტან გოგოხიას - გენო ადამიას სახელობის სენაკის პირველი საჯარო სკოლა; რიმა კუპრეიშვილს - ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა; ნატალია სახოკიას - გეჯეთის საჯარო სკოლა; ეკა ჭითავას - ხორშის საჯარო სკოლა; ნინო ჯოლოხავას - კერძო სკოლა ,,მარიოტა"; მზია ჩემიას - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია; თინათინ ყალიჩავას - ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლა; ნანი სიჭინავას - ზანის საჯარო სკოლა; დალი ცხვიტავას - ეკის საჯარო სკოლა; თამარ ნარსიას - კერძო სკოლა ,,პელაგონი"; ვიანა სანაიას - ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლა; ბექა ნაროუშვილს - სენაკის მესამე საჯარო სკოლა; დემურ შეროზიას - უშაფათის საჯარო სკოლა; ნარგიზა ნარსიას - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის მეშვიდე საჯარო სკოლა; სოფიკო შალიკაშვილს - თეკლათის საჯარო სკოლა; ლალი კვარაცხელიას - სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი; ამირან დავითაიას - ძველი სენაკის საჯარო სკოლა; ლია ბუკიას - სენაკის მეშვიდე საჯარო სკოლა; ნაზიბროლა წულეისკირს - ახალსოფლის საჯარო სკოლა; იმედო ბერაიას - მენჯის საჯარო სკოლა; თამარ მილორავას - ნოსირის საჯარო სკოლა.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, საგანმანათლებლო სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ჟიული შარტავას სახელობის მერიის სხდომათა დარბაზში, მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია უძღვებოდა.

სხდომას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი გაბედავა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რამაზ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ხათუნა ჯიმშელეიშვილი, მერის თანაშემწე, მარინე ფაღავა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა, ოქტომბრის თვეში დაგეგმილი, ტრადიციული სახალხო დღესასწაულ ,,ეგრისობის'' ჩატარების დეტალებზე და დაგეგმილ მრავალფეროვან, სანახაობრივად დატვირთულ ღონისძიებებზე ისაუბრა.

სხდომაზე, განხილულ იქნა ,,სენაკის საპატიო მოქალაქის'' წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტან გადელიამ, ასევე დეტალურად ისაუბრა მიმდინარე და ბიუჯეტში განსაზღვრულ, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებულ პრიორიტეტებსა და დაგეგმილ პროექტებზე.

მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საქმიანობის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, მერსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება. ეს კადრები მენჯის და უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე სამუშაოებს ასახავს.მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პერტულში, მიმდინარეობს ხიდის სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 230 754 ლარს შეადგენს. უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის ლეგოგინეს უბანში, დაზიანებული მილხიდების აღდგენისა და ხიდ-ბოგირების მოწყობის პროექტი მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება 95 865 ლარს შეადგენს; ლეგაბელიეს უბანში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს დაზიანებული მილხიდის აღდგენის სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 30 610 ლარს შეადგენს. სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

ხანდაზმულთა დღე

პირველი ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში, ბენეფიციარებს ხანდაზმულთა დღე მიულოცეს. ,,ვულოცავთ ყველა მხცოვანი ასაკის მოქალაქეს, ცხოვრებისეული გამოცდილებით, სიბრძნით და სიყვარულით მდიდარ ადამიანებს, რომელთაც ჩვენგან განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველობა, სითბო და თანადგომა სჭირდებათ. ხანდაზმულთა უფლებების დაცვა და საჭირო სერვისებით მათი უზრუნველყოფა, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია" - აღნიშნეს შეხვედრისას სენაკის მერმა და მერის მოადგილემ. 1990 წელს, ხანდაზმულთა პრობლემებისადმი მიძღვნილმა გაეროს მსოფლიო ასამბლეამ 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მას საქართველო 2006 წლიდან შეუერთდა.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

სტიქიის შედეგების მაქსიმალურად მოკლე ვადებში ლიკვიდაციის მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მიმდინარეობს გადაუდებელი სამუშაოები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის უსაფრთხოება და მოხდეს მყისიერი რეაგირება დაზარალებულთა დასახმარებლად. სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი საგანგებო რეჟიმში მუშაობს. სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი, ,,ენერგო-პრო ჯორჯიას", სამაშველო და მერიის სამსახურების ჯგუფებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქარის შედეგად დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძების და სადენების აღდგენით სამუშაოებს ახორციელებს. აღდგენითი სამუშაოების პარალელურად, მიმდინარეობს სტიქიით მიყენებული ზიანის დათვლა და ზიანის აღმოსაფხვრელად სხვა აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ამ ეტაპზე, გაწმენდილია გზები და ტრანსპორტი თავისუფლად გადაადგილდება. დაიწყება მრავალბინიანი კორპუსების დაზიანებული სახურავების აღდგენისა და გადახურვის პირველადი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მობილური ჯგუფები მონიტორინგს 24 საათიან რეჟიმში აგრძელებენ.

(დასასრული მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

„31-ე სკვდიანი შემოდგომა"

დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის ერთობლივი პროექტის - ,,ჩვენი 31-ე ტკივილიანი შემოდგომა" - ფარგლებში, სოხუმის დაცემისა და საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას გმირული აღსასრულიდან 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. გმირის სახელობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სცენაზე გააცოცხლეს სენაკის საამაყო შვილის ცხოვრების გზა, მოღვაწეობის წლები, აფხაზეთში მისი გმირული აღსასრული. ,,ჟიული შარტავამ თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ქვეყნის აღმშენებლობას და ბოლოს, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეეწირა, რითაც საოცარი მაგალითი დაუტოვა მომავალ თაობებს. სენაკი გმირების ქალაქია. ჟიული შარტავა, გენო ადამია, გურამ გაბესკირია, ნოდარ კანკია - ამ პატარა კოლხური ქალაქის წიაღში გაზრდილი ჩვენი დროის გმირები არიან. ქვეყანას, რომელიც ასეთ მამულიშვილებს ზრდის, გადაშენება არ უწერია" - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხახუბიამ. გიორგი ხახუბიამ, პროექტის ავტორს, სენაკის საპატიო მოქალაქეს, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, გულნარა ბარკალაიას, წარმატებული საერთაშორისო პროექტების განხორციელების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების, მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების განვითარების, მომავალ თაობებთან - თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ხანგრძლივი, შემოქმედებითი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, საპატიო დიპლომი გადასცა. აფხაზეთის ომის სასასტიკეზე, ჟიული შარტავას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა გმირობასა და აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებაზე ისაუბრეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ. საღამოს ეპარქიის სასულიერო პირები, საქართველოს პარლამენტის წევრი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ,,აფხაზეთი საქართველოა!" ,,ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს ..." - ეს გზავნილები გაჟღერდა სოხუმის დაცემიდან 31-ე 27 სექტემბერს გმირების ქალაქში.

სოხუმის დაცემის დღე

სოხუმის დაცემისა და ჟიული შარტავას გმირული დაღუპვიდან 31-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხახუბიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, ყვავილებით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ბიუსტი, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სკვერში - საქართველოს ეროვნული გმირების - გენო ადამიას, გურამ გაბისკირიას, ნოდარ კანკიას ბიუსტები და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში გაიმართა თემატური ღონისძიება; მიხეილ ქურდოვანიძის სახელობის საჭადრაკო კლუბში - ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირი. სოხუმის დაცემის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე სახელმწიფო დროშა დაეშვა.

სამუშაო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მიმდინარე სამუშაო კვირა, ორშაბათის თათბირით დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერმა, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, პირველადი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებისგან, განხორციელებული, ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტებისა და არსებული გამოწვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. სამუშაო შეხვედრაზე საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სექტორებში დაგეგმილ პროექტებს, ზედამხედველობითი ღონისძიებების მიმდინარეობას. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მიმდინარეობს: სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტები; ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული სამუშაოები - 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში; 3 საჯარო სკოლის - სენაკის მეორე, უშაფათის და ხორშის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის პროექტები; 4 საბავშვო ბაღის - ფოცხოს, ძველი სენაკის, ლეძაძამეს და ელიავას ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღების მშენებლობის მასშტაბური სამუშაოები. ვახტანი გადელიამ, მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების ეფექტურად გადაჭრის გზებზე ისაუბრა, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მითითებები გასცა.

პრობაციის სააგენტოსთან მემორანდუმი გაფორმდა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, რამაზ კუპრეიშვილთან ერთად, შეხვედრა გამართა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ლადო ხელაძესთან და სააგენტოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ბენეფიციართა დასაქმება და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა. მემორანდუმს ხელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ლადო ხელაძემ მოაწერეს. თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შრომამისჯილ პირებს, სენაკის მუნიციპალიტეტში, ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმების შესაძლებლობა მიეცემათ. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ეფექტიანი აღსრულებისთვის, გაიზარდა დასაქმების ობიექტების რიცხვი, რომლის ფარგლებშიც, შრომამისჯილი პირები ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე დასაქმდებიან. სააგენტოს ბენეფიციარები მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, ახალგაზრდულ, კულტურულ, სპორტულ და მოხალისეობრივ პროგრამებსა და აქტივობებში ჩაერთვებიან. მემორანდუმი ასევე გაფორმდა ზესტაფონის, სამტრედიისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში. 2023 წელს კი, სააგენტომ თანამშრომლობის მემორანდუმები რუსთავის, თეთრიწყაროს, მარნეულის და ქობულეთის მერიებთან გააფორმა.

ჯერისჯული მარშრუტები საინფორმაციო დაფებით აღიჭურვა

ტურისტული–ხელმისაწვდომობის კუთხით, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, რელიგიური დანიშნულების ობიექტებისა და ბუნების ძეგლებამდე მისასვლელი მარშრუტები საინფორმაციო მიმართულების მანიშნებელი დაფებით აღიჭურვა.

პროექტი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა. საინფორმაციო მიმართულების მანიშნებელი დაფები მოეწყო საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის - "საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ" სტანდარტის მიხედვით. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტის ღირებულებამ 34 546 ლარი შეადგინა.

სენაკის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 105 არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი და ობიექტია გამოვლენილი, რომელთაგან 3 - ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მატარებელია.

ბოლო წლების მანძილზე, ტურისტული – ინფრასტრუქტურის –განვითარების–კუთხით, უპრეცედენტო მასშტაბის პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება, რაც ტურისტული მიზიდულობის კუთხით, თვისობრივად ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

დაგეგმილია:

სენაკის მუნიპალიტეტში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების პასპორტიზაცია;

ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება; წლის ნებისმიერ სეზონზე აქტუალური და მოთხოვნადი ტურისტულ-საინფორმაციო პროდუქტის - ბრენდირებული ტურისტული რუკის მომზადება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - საკალანდარიშვილოს ციხეზე - განათების ახალი სისტემისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ტურიზმის ხელმისაწვდომობისთვის.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

***

2024 წლის 25 სექტემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია უძღვებოდა

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო რვა საკითხის განხილვა.

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

2.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2024 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

5. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

6. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

7. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა №235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე."

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

***

2024 წლის 7 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 ოქტომბრის რიგაარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

***

2024 წლის 8 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლეგოგიე-ნასაჯუში მდებარე ქუჩის სახელდების შესახებ.

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

***

2 ოქტომბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურისის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა" ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა მცირე მეწარმე ქალბატონებთან.

შეხვედრაზე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ინგა ქარდავამ, საბჭოს მდივანმა, მანანა გვიჩიამ და საბჭოს წევრმა, დალი ქაჩიბაიამ, მონაწილეებს დეტალურად განუმარტეს კონკურსში მონაწილეობის პირობები. ინოვაციურ მეწარმეობაზე მასტერკლასი ჩაატარა, სენაკის ტექნოპარკის მენეჯერმა, თამარ მალანიამ.

საგრანტო კონკურსი, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ტარდება. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ 18 წელს ზემოთ ქალბატონებს. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, გამარჯვებულები გამოვლინდებიან 4 ნოემბერს, მათთან ხელშეკრულება გაფორმდება 7 ნოემბერს.

დაინტერესებულმა აპლიკანტებმა შევსებული წინასწარი განაცხადის ფორმა უნდა გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sakrebulo.senaki@gmail.com **და თემის ველში მიუთითონ საგრანტო კონკურსი "ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა".**

წლევანდელი კონკურსის ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგენს 15000 ლარს, კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა 3 გამარჯვებულზე გადანაწილდება.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ https://shorturl.at/yr6qa

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

მრავალი სასიკეთო საქმე

ღვაწლმოსილი პედაგოგი და სენაკის საპატიო მოქალაქე, გულნარა ბარკალაია - ქალაქის განვითარებისა და მომავალ თაობებთან ცოდნის გაზიარების სადარაჯოზე.

თაობების დიდ მეგობარს და მათი წარმატების გზამკვლევს, საუკეთესო, ღვაწლმოსილ მასწავლებელს, გულნარა ბარკალაიას, ათეული წლებია, მისეული ხედვითა და გამოცდილებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქალაქისა და საგანმანათლებლო სფეროს განვითარების საქმეში. მან, შემოქმედებითი მიდგომებით და ინიციატივებით არაერთ კულტურულ და საგანმანათლებლო ინოვაციურ პროექტს ჩაუყარა საფუძველი და განავითარა.

ის არა მარტო კონკრეტულ საგანს ასწავლის,.არამედ, თითოეულ მოსწავლეში ანვითარებს ცხოვრებისეულ უნარებს - საზოგადოების, ქალაქისა და თაობებისთვის საქვეყნო საქმეს აკეთებს.

პირდაპირობით, სამართლიანობითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულმა პედაგოგმა, მშობლიურ სკოლაში, თავისი ხელწერა დაამკვიდრა. მისი თაოსნობით განხორციელდა არაერთი წარმატებული საერთაშორისო პროექტი, კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები.

გულნარა ბარკალაია გახლავთ ავტორი წარმატებული პროექტისა - ,,ჩვენი ტკივილიანი შემოდგომა", რომლის ფარგლებში, სოხუმის დაცემისა და საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას გმირული აღსასრულის დღეს, ყოველი წლის

27 სექტემბერს და ასევე, ჟიული შარტავას დაბადების დღეს - 7 მარტს, გმირის მშობლიურ ქალაქში მასშტაბური ღონისძიებები იმართება.

წელსაც, ტრადიციულად, გულნარა მასწავლებლის ძალისხმევითა და ორგანიზებით, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სცენაზე გააცოცხლეს სენაკის საამაყო შვილის ცხოვრების გზა, მოღვაწეობის წლები, აფხაზეთში მისი გმირული აღსასრული.

საღამოს რეჟისორიც, სცენარის ავტორიც და სულისჩამდგმელიც გეოგრაფიის მასწავლებელი, გულნარა ბარკალაია გახლდათ.

დამსახურებულ პედაგოგს, საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხახუბიამ და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, წარმატებული საერთაშორისო პროექტების განხორციელების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების, მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების განვითარების, მომავალ თაობებთან - თეთი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, საპატიო დიპლომი გადასცეს.

ორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ხანგრძლივი, შემოქმედები-

შემდეგ იყო 7 ოქტომბერი, მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო - ,,განათლების ელჩები", სადაც სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, წარმატებული და გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისა და თაობების ღორსეულად აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის, საპატიო სიგელი გადასცა

უამრავ აღიარებათაგან, ყველაზე დიდ ჯილდოდ, მკაცრი, მაგრამ ამავდროულად, მიმტევებელი და მოსიყვარულე გული მასწავლებელი, მადლიერი თაობების და თანაქალაქელების უპირობო სიყვარულს მიიჩნევს.

ქალბატონი გულნარას პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, პროფესიონალიზმი, უშრეტი ენერგია, მტკიცე რწმენა, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, საქმის, ქალაქის, თაობების სიყვარულით გულანთებულმა ერთმა პედაგოგმა, მრავალი სასიკეთო საქმე აკეთოს და თავისი გამორჩეული მოღვაწეობით, ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

მ. ეჯიბია

მასწავლებლის ეროვნული პრემია მიენიჭა

„აი ვინ არის ნამდვილად შემოქმედი მასწავლებელი“

საზოგადოების თავალი რენტგენივითაა, ყოველდღიურ რეჟიმში თავის პრიზმაში რომ გატარებს, გაფასებს, გაკვირდება, ნაბიჯებს გითვლის, გაქებს ან გაკრიტიკებს, გაგულიანებს, განგსჯის . . . მას ხომ შეფასების თავისი კრიტერიუმები გააჩნია, მოწონება-დაწუნების, ნდობის გამოცხადების, განკითხვის, სიყვარულისაც. ამ უკანასკნელი კრიტერიუმით ვინც სარგებლობს, ის უბრალოდ ხალხის რჩეულია, უყვართ, პატივს სცემენ, ეიმედებათ . . .

დამეთანხმებით ასეთი აღიარების მოპოვება ადვილი არაა, მაგრამ, ჩვენი მუნიციპალიტეტის გენო ადამიას სახელობის N1 საჯარო სკოლის მასწავლებელმა, მამუკა კუჭავამ ეს შეძლო, ის რამდენადაც წარმატებულია კარიერულ გზაზე, იმდენად საზოგადოების სიყვარულითაცაა გარემოსილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მამუკა კუჭავა, განათლების სამინისტროს ეგიდით გამართულ საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 13 სექტემბერს თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სრულიად საქართველოს მაშტაბით შერჩეულ ათ საუკეთესო მასწავლებელთა შორის დასახელდა და განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მას მასწავლებლის ეროვნული პრემია მიენიჭა და გადაეცა 10 000 ლარი. ამ მნიშვნელოვან ფაქტს სენაკში მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა. პირველი მუნიციპალიტეტის მერია იყო, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი ჯილდო მიულოცა და 1000 ლარი გადასცა. ამას მოჰყვა სენაკის ხელოვნების ცენტრისგან ფასიანი საჩუქარი, ,,ბეკოს" სენაკის ფილიალისგან კი ფასიანი ვაუჩერი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირის მარტვილის რაიონული ორგანიზაციის მიერ გამართულ კონფერენციაზე მამუკას განსაკუთრებული შეხვედრა მოუწყვეს.

აღნიშნული წარმატება წლების მანძილზე დაუღალავი შრომის შედეგია. თუ გადახედავთ მის ბიოგრაფიას, გაიკვირვებთ და იტყვით, ამდენი როდის მოასწროო. დამთავრებული აქვს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საამშენებლო და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტები. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტში ლექტორის პოზიციაზე, სენაკის N1 და N3 საჯარო სკოლებში, კერძო სკოლა ლიცეუმსა და კერძო სკოლა ,,მაიაში" მასწავლებლად, ხელმძღვანელობდა ,,წითელი ჯვრის საზოგადოების" სენაკის ფილიალს. ამჯერად მუშაობს გენო ადამიას სახელობის N1 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებლად, პარალელურად საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა,არის არაერთი პროექტის ავტორი და თანაავტორი, გავლილი აქვს უამრავი სხვადასხვა მიმართულების ტრეინინგები, ფლობს შესაბამის სერტიფიკატებს, რომელთა ჩამოთვლა რაოდენობიდან გამომდინარე საგაზეთო წერილში შეუძლებელია. თითქმის ოცდაათ წლიანი პროფესიული საქმიანობის მანძილზე უამრავ მოსწავლეს გაუკვალა გზა, შეაყვარა თავი და საგანი

და დღეს იგი რეგიონში პირველი მასწავლებელია, რომელიც მასწავლებლის ეროვნულ პრემიას ფლობს. საქართველოს მაშტაბით საუკეთესო მასწავლებელთა ათეულში ყოფნა, არა მარტო მისთვის, არამედ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც

გენო ადამიას სახ.ქ.სენაკის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები

სოფო გაბუნია - გილოცავთ ამ ღირსეული ჯილდოს მიღებას! თქვენ ამას უპირობოდ იმსახურებთ! იშვიათად შეხვდებით მის მსგავს პედაგოგს და პიროვნებას! ის ყოველთვის ცდილობს მისი ცოდნა და გამოცდილება უდიდესი პროფესიონალიზმით, მონდომებით, სიყვარულით და მეგობრულად გაუზიაროს თითოეულ მოსწავლეს! ფასდაუდებელია მისი ღვაწლი თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში! ვისურვებდი, რომ ზუსტად ბატონი მამუკას მსგავსი პედაგოგები უკვალავდნენ გზას ჩვენს მომავალ თაობას!

საბა კვარაცხელია - მსურს საჯაროდ მოგილოცოთ წარმატება ბატონო მამუკა! მთელი გულით გამიხარდა და გილოცავთ... თქვენ ნამდვილად ის ადამიანი ხართ რომელმაც დამსახურებულად მიიღო ეს ჯილდო... მახსენდება უამრავი შემეცნებითი, სახალისო და საინტერესო პროექტი, აქტივობა და ღონისძიება რომლის განხორციელებას დაუღალავი შრომითა და დიდი ენთუზიაზმით ცდილობდით ... თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს მოსწავლეებს ჩაუნერგოს ის მაღალზნეობრივი იდეალები რომლებიც ასე ძალიან ჭირდება ჩვენს ქვეყანას და დღევანდელ სამყაროს.. აქვე მსურს ავღნიშნო რომ ამ ყველაფერს აკეთებდით სრულიად უანგაროდ, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც არ არსებობდა არანაირი საგრანტო პროგრამები, არ იწერებოდა ქულები და არც არავინ ზრუნავდა მასწავლებლების წახალისებას, იმისთვის რომ ემუშავათ იმგვარ პროექტებზე, რომლებიც გულისხმობს მოზარდების აქტიურ ჩართვას სამოქალაქო საქმიანობებში... არ მომერიდება იმის თქმაც რომ მხოლოდ ბოლო რამოდენიმე ათწლეულია რაც ასე ფართო მასშტაბით ექცევა ყურადღება სკოლებისა და პედაგოგების მხრიდან ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომლებიც თქვენ ბევრად ადრე წამოიწყეთ მომავალი თაობის აღსაზრდელად... სიტყვები არასდროს იქნება საკმარისი მადლობის სათქმელად თქვენი გაწეული შრომისათვის. ჯერ მარტო იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ... ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა თქვენ..!

გიორგი ფაღავა -გილოცავთ მაااას! ცრემლებამდე გამიხარდა ვიდეო რომ ვნახე თქვენი გამოცხადების. უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ მე დღეს უნივერსიტეტში გარდა სასწავლო პროცესისა, ძალიან ბევრ პროექტში ვარ ჩართული. თქვენ იყავით ის ადამიანი, რომელმაც პირველად მიბიძგა და დამაინტერესა მსგავსი რაღაცეებით. ამ კუთხით ჩემი განვითარება აბსოლუტურად თქვენი დამსახურებაა. მადლობა რომ ჩემი მოსწავლეობის პერიოდში იყავით ის მასწავლებელი, რომელთანაც გულწრფელად შემეძლო ნებისმიერ თემაზე საუბარი

მნიშვნელოვანია, თუმცა კოლეგებისთვის და მოსწავლეებისთვის, შეიძლება ითქვას ეს მოულოდნელობა არ იყო, რადგანაც ის ნიჭიერებით, ადამიანური თუ პედაგოგიური ღირსებებით მუდამ გამორჩეული იყო. მაგრამ საქვეყნოდ აღიარებამ სხვა მუხტი მოიტანა, უპირველესად სხვა სიხარული და სიამაყეც გააღვიძა, რომ ეს პიროვნება ჩემი მასწავლებელია, ჩემი მეგობარია, ჩვენია, სენაკელია! და წამოვიდა ემოციები, ის სითბო და სიყვარული, რაც წლების მანძილზე მისხალ-მისხალ ურიგებია მასწავლებელს შეგირდებთან თუ ირგლივ მყოფებთან, ერთბაშად დაუბრუნდა, რაც უნაპირო გრძნობებში, განსხვავებული ფერებითა და გამებით სიტყვებში გამოიხატა. პირად კონტაქტებსა თუ ბარათებში მასწავლებლისადმი ღიად გამოხატული სიყვარული, სიხარული უემოციოდ ვერ დაგტოვებთ, მით უფრო, რომ მათში კარგად ჩანს ვინ არის მამუკა კუჭავა, მისი პორტრეტი სხვადასხვა რაკურსით აქ კარგად იკვეთება, ამიტომ შემოგთავაზებთ ამონარიდებს -

ელისო შურღაია - სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი – საუკეთესო მასწავლებელო, კოლეგავ, მეგობარო!!! გილოცავ ღირსეულ აღიარებას!!! ბედნიერი და ამაყი ვარ შენი ზეადამიანური თვისებებით.

ვულოცავ სრულიად საგანმანათლებლო საზოგადოებას და სენაკის რაიონს ამ ჯილდოს!!!

ნატო მორგოშია - სიტყვიერების მასწავლებელი - ერთ ლამაზ, პატარა ქალაქში საღებავებით, ფერადი ფანქრებითა და ნახატებით სავსე დიდი ჩანთით დადის ფუტკარივით მშრომელი კეთილი კაცი და ქალაქს აფერადებს ... თუ ვინმეს ფერები მოაკლდება, უცებ ჩნდება და ივსება ყველაფერი სინათლით. .

ეს ფერები დაინახეს, ეს სინათლე შეამჩნიეს და ღირსეული ჯილდო მიაგეს!

დიახ, მამუკა კუჭავა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელია! პირველ საჯარო სკოლაში დიდი სიხარული ტრიალებს და ეს სიხარული ჩვენს ლამაზ სენაკს ავსებს...

გილოცავ, მეგობარო!

თამთა ჯანჯღავა - სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტი - მამუკა კუჭავა დაუღალავი შრომით, მოსწავლეებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით მართლაც რომ დამსახურებულად გახდა 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელი. იგი არა მხოლოდ გამორჩეული მასწავლებელია, განსაკუთრებული და საიმედო მეგობარია!

გილოცავ, მეგობარო! დაე, აღარასოდეს მოგშლოდეს ჯილდოდ ის დიდი სიხარული, თვალმახარა გოგო-ბიჭების ფართო, ლამაზ თვალებში მზის სხივად რომ ჩატეხილა!

და ძალიან, ძალიან ბევრი რაღაცისთვის მადლობა. ყოველთვის გგულშემატკივრობთ თქვენ, თქვენს მოსწავლეებს და საკუთარივით მიხარია თქვენი თითოეული წარმატება. მიყვარხართ და გაფასებთ ძალიან.

ელიკო ხარებავა - სიტყვიერების მასწავლებელი - მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ვიცნობ მამუკა კუჭავას. მისი ღვაწლი ათეულობით წლებს ითვლის. იგი სულით ხორცამდე პედაგოგია, ნამდვილი მასწავლებელი, რომლის გაკვეთილები დაგეგმილია თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. მამუკას გაკვეთილები ზეიმია თითოეული მოსწავლისთვის, რადგან ფერადია, სახალისო, მრავალფეროვანი, საინტერესო.ინოვაციური მეთოდებით და აქტივობებით გაჯერებულიარ არსებობს საინტერესო პროექტი,რომელსაც არ განახორციელებენ მოსწავლეები მისი ხელმძღვანელობით და თანადგომით. მამუკა არ ისვენებს...არ იღლება. თავდაუზოგავად იღწვის მოსწავლეთა საკეთილდღეოდ. რომ ლამაზი სამყაროს ნაწილებად აგრძნობინოს მათ თავი. მამუკას გაკვეთილებზე მოსწავლეები ქმნიან ახალ სამყაროს-ულამაზესს,საინტერესოს. ეს ის მასწავლებელია, რომლებიც მუდმივად წაახალისებს მოსწავლეებს...არ ეშინიათ შეცდომის დაშვების,არ თრგუნავენ თავიანთ იდეებს,წარმოაჩენენ ნაფიქრს,რადგან იციან, მამუკა მასწავლებელი შეაქებს, გაამხნევებს, წაახალისებს, გაათამამებს. მამუკა მასწავლებელი მიუძღვის მოსწავლეებს ჯადოსნური სამყაროს შეცნობისკენ. იგი უნერგავს მოსწავლეებს რწმენას, რომ სამყარო მშვენიერია... რომ.გამოუსადეგარი ნარჩენებისგანაც კი შეიძლება შეიქმნას უმშვენიერესი ნაძვის ხე ან რაიმე თვალსაჩინოება...სასარგებლო და ლამაზი ნივთი.

მამუკა მუდამ მოსწავლეებითაა გარშემორტყმული.ხან ნახატების გამოფენას აწყობს,ხან კომპიუტერულ ნახატებს წარმოაჩენს,ხან ორიგანით შესრულებულ ქმნილებებს და ამ ყველაფრის შემოქმედნი მოსწავლენი არიან. გახარებულები იმით, რომ მამუკა მასწავლებელმა ისინი შეამჩნია,მათი ნიჭის მარცვალი დაინახა და გააღვივა.

მამუკა შეუდარებელია, როგორც კოლეგა. არ არსებობს სათხოვარი,რომელზეც უარს გეტყვის,მიუხედავად მუდმივი მოუცლელობისა.გეგმავს ინტეგრირებულ გაკვეთილებს კოლეგებთან ერთად,გვიზიარებს გამოცდილებას,გვაცნობს ინოვაციებს,გვაძლევს რჩევებს. იგი ყველასგან გამოირჩევა გულისხმიერებით,თანადგომის უნარით, კომუნიკაბელურობით ,კოლეგიალურობით. ვის არ ახსოვს ქალაქში მამუკა მასწავლებლისა და მისი მოსწავლეების მიერ ყვავილებითა და ჭიამაიებით მოხატული ზებრა-გადასასვლელები... კედლები... ყვავილების ფესტივალები... მის მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

ჩვენ, მის კოლეგებს, მისი საქმიანი ფუსფუსის შემხედვარეებს, ათასჯერ გაგვჩენია კითხვა-ეს ერთი ადამიანი ამდენ რამეს როგორ ასწრებს,როგორ აუდის,როგორ ახერხებსო? და მერე ჩვენვე გვიპასუხნია-აი ვინ არის ნამდვილად შემოქმედი მასწავლებელი..

მასწავლებელი ყველაზე დიდი განძია ქვეყნისთვის, რადგან ის პასუხისმგებელია თაობათა სრულყოფილ აღზრდაზე. ამიტომ ღირსეულ მასწავლებელთა სიმრავლეს ვუსურვებთ ჩვენს ქვეყანას, ხოლო ბატონ მამუკას ვულოცავთ მასწავლებლის ეროვნულ პრემიას და ვუსურვებთ ცხოვრების გზაზე ახალ-ახლ მიღწევებს . . .

ნინო სართანია

თეატრალური სცენის ბერმუხა

ცხოვრება ერთი დიდი თეატრია, რომელსაც ჰყავს თავისი სცენარისტი, რეჟისორი, მხატვარი, გამნათებელი და ა.შ. ჩვენ კი ყველანი მსახიობები ვართ, რომელთაც განგებამ გვარგუნა პერსონალური როლები, ეს როლები ვლინდება სხვადასხვა სოციალურ სტატუსებში (დედა, მამა, შვილი . . .), პროფესიებში (ინჟინერი, ექიმი, იურისტი . . .) და ა.შ. ყველა თავის პერსონაჟს ამართლებს შესაძლებლობების (ფიზიკური, სულიერი . . .) მიხედვით, ზოგი - წარმატებულია, ზოგიც - წარუმატებელი .

ზოგადად, საქართველოში, თეატრალურ ცხოვრებას დიდი ხნის ისტორია აქვს - ის არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე და დროთა განმავლობაში, განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე იცვლიდა ფორმებს, შინაარსი კი ფუნდამენტური რჩებოდა - წარმოედგინა სოციუმის ტკივილი, სიხარული, ,,ადამიანთა სუნთქვა" და ინოვაციური ფორმებით დაეყვანა საკაცობრიო წიაღში ინდივიდის თუ საზოგადოების ხვედრი, მოკლედ - არტისტიზმით წარმოეჩინა არსებული რეალობა . . .

გავბედო, დავწერო, როგორ და რანაირად?, გამაჩნია კი იმდენი რესურსი, რომელიც მცირედით მაინც წარმოგვიდგენს მის ,,თეატრალურ ნიღაბს?", - ამდაგვარად, წამოვიდა იჭვნეულ შეკითხვათა ტალღები, ბოლოს მეყო ,,თავხედობა" და გადავწყვიტე გამებედა, მცირედი რამ დამეწერა ადამიანის შესახებ, რომელმაც თავისი გამორჩეული კვალი დაამჩნია ქართულ თეატრალურ ცხოვრებას და რომელიც ახლაც აგრძელებს მოღვაწეობას ამ სფეროში - დიახ, ეს ლეო ანთაძეა ! საქართველოში ერთადერთი მსახიობი, რომელმაც: 70 წელი იმოღვაწევა თეატრში, 90 წლის ასაკს გადაცილებულმა ითამაშა სცენაზე, 26 წლის ასაკში მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება... ბატონი ლეო, 1955–1967 წლებში მუშაობდა მარჯანიშვილის, 1967–1975 წლებში რუსთავის თეატრებში. 1975 წლიდან კვლავ დაუბრუნდა მარჯანიშვილის თეატრს. მის მიერ შესრულებულ როლებს შორის აღსანიშნავია: ზურია — რეზო თაბუკაშვილის "რას იტყვის ხალხი"; შოთა არევაძე — კიტა ბუაჩიძის "მკაცრი ქალიშვილები"; ბუბნოვი — მაქსიმ გორკის "ფსკერზე"; ჩარლი — ტომას ბრანდონის "ჩარლის დეიდა"; ზურიკო — ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"; შიშკობა — პოლიკარპე კაკაბაძის "კახაბერის ხმალი" და სხვ. კინოროლებიდან აღსანიშნავია: "ყვავილი თოვლზე", "გაქცევა გამთენიისას", "დათა თუთაშხია", "მონანიება" , "ქუჩის დღეები", "რენე მიდის ჰოლივუდში", ,,ჩემი ცოლის დაქალები" და სხვ.

ბოლო წლებია, სენაკის მუნიციპალიტეტი, განსაკუთრებულად გამოირჩევა სახელოვნებო სფეროში სხვადასხვა საინტერესო აქტივობებით, რაც გარკვეულ ფუფუნებად ექცა ჩვენს ქალაქს, ამ მხრივ არც ამა წლის 2 ოქტომბერს, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში გამართული ბენეფისი იყო გამონაკლისი, სადაც თბილი და ემოციური შეხვედრა მოეწყო საქართველოს სახალხო არტისტთან, ლეო ანთაძესთან, აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა დამსახურებული მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 70 წლის იუბილეს.

შეხვედრა-ბენეფისს ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (უფროსი - გივი მისაბიშვილი), მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ეჯიბია, დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გურანდა შამათავა, მოწვეული სტუმრები და თვითმმართველობის წარმომადგენლები . . . მეც, როგორც სენაკის ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ ,,კოლხეთის" კორესპონდენტს, მერგო პატივი, ცოცხლად, სცენაზე მეხილა ჩვენი ქვეყნის უდიდესი არტისტი და მიმეღო გარკვეული შთაბეჭდილება.

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით.

შეხვედრის პროდიუსერი და წამყვანი გახლდათ - მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული ფილარმონიის გენერალური დირექტორი, ბატონი ლადო ხელაშვილი, რომელმაც პროფესიული ოსტატობით წარუდგინა მაყურებელს საღამოს გმირი, ბატონი ლეო ანთაძე -

სცენაზე ამოდის, წელში გამართული, გამხდარი, მოხდენილი გარეგნობის კაცი - სახის ოსტატური გარდასახვის უნარით შეჰყურებს დარბაზს, თვალებით კითხულობს აუდიტორიის მოლოდინს, მათ განწყობას, ემზადება მაყურებელსა და მას შორის აღმართული ბარიერების მოსაშლელად -

მან საღამო გახსნა მისი ბავშვობის დროინდელი მეტად საინტერესო ისტორიით - ბატონი ლეო გახლავთ, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის შვილიშვილი, რომლის სახლშიც ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ერთ-ერთ ასეთ სალონურ შეკრებას ესწრებოდა ჯერ კიდევ ბავშვი ლეო ანთაძე, სადაც განიხილებოდა ცნობილი რუსი მწერლის, ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ ,,ვეფხისტყაოსნის" თარგმნის საკითხი - თუ როგორი გამოვიდოდა რუსულ ენაზე თარგმნილი პოემა, განსაკუთრებით ბობოქრობდა მწერალი დემნა შენგელაია, თურმე მას ვერ წარმოედგინა აღნიშნული შედევრის ჟღერადობა რუსულ ენაზე . . . თარგმნილმა პოემამ საბოლოოდ მოწონება დაიმსახურა, ასე და ამგვარად ის პირველად ბავშვობის ასაკში ეზიარა ,,ვეფხისტყაოსანს".



საღამო - ბენეფისი დახუნძლული იყო ბატონი ლეოს მონო წარმოდგენებით, მან შესანიშნავი ოსტატობით, სცენაზე გააცოცხლა ვაჟა ფშაველას პოემა ,,ბახტრიონი", აკაკი წერეთლის - ,,ღამურა", ,,ბუზი და ლომი", ლადო ასათიანის - ,,გურამიშვილის ჩივილი", ნუგზარ შატაიძის ნოველა ,,გიო". სცენაზე, საშემსრულებლო ტექნიკის საოცარი გარდასახვით ვიხილეთ პერსონაჟთა დრამატული და იუმორისტული ნაირსახეობები...

საღამოს წამყვანმა, ბატონმა ლადო ხელაშვილმა ღონისძიება გაამდიდრა, იუმორისტულ ნოტაზე მოყოლილი სხვადასხვა საინტერესო ისტორიებით, მან გაიხსენა ცნობილ მსახიობთან და მწერალთან, ბატონ ქართლოს კასრაძესთან მისი ურთიერთობის გარკვეული ეპიზოდები, მათ შორის - ქალაქ სენაკში - ,,მხედრიონის" , ქუთაისში - ,,სადალაქოს", ,,სვანის" ისტორიები და ა.შ.

საღამოს კულმინაცია იყო, ბატონი ლეოს მიერ ნოდარ დუმბაძის ,,მე ბებია ილიკო და ილარიონიდან" წარმოდგენილი იუმორისტული ნომერი - შეყვარებული ზურიკელას პოეზიით გატაცება . . .

მომეცა შესაძლებლობა პირადად შევხვედროდი ბატონ ლეოს და გავსაუბრებოდი მას

- მოხარული ვარ რომ ჩემი ბენეფისი (70 წელი სასცენო მოღვაწეობის) შედგა სენაკელი მაყურებლის წინაშე, ქალაქ სენაკს გააჩნია დიდი კულტურული ტრადიციები, აქ შესანიშნავი თეატრალური დასია, რომელიც გამოირჩევა საინტერესო დადგმებით, ვუსურვებ მას მაყურებელთა სიმრავლეს და სპექტაკლების სიუხვეს - გვითხრა მან დამშვიდობებისას -

ვუცქერდი სცენას და ჩემს თვალწინ იდგა ბერმუხა - ადამიანი, რომელმაც შექმნა ეპოქა სახელოვნებო ცხოვრებისა, შვიდი ათწლეული, თითქმის საუკუნე ემსახურა (ახლაც განაგრძობს მოღვაწეობას) ქართულ თეატრსა და კინოს, რითაც კიდევ უფრო მეტად გაამყარა ჩვენი ქვეყნის კულტურული ფესვები . . .

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია სასიქადულო მსახიობს ულოცავს 70 წლიან წარმატებულ სასცენო მოღვაწეობას, უსურვებს ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს მაყურებლის გახარებას.

გიორგი გარუჩავა

ვიზიტი ბოსნია -ჰერცოგოვინაში

ალბათ ყველანი ვთანხმდებით, რომ კაცობრიობა განვითარების მწვერვალისკენ მიემართება. თანამედროვე სამყარო და ციფრული ჰბადებს მთელ რიგ შესაძლობლებს - მათ შორის სპორტის სამყაროშიც, რის ყველაზე ნათელ გამოვლინებასაც ელექტრონული სპორტი წარმოადგენს. რა საკვირველია ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყანაც არ არის გამონაკლისი. მეტიც, საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია 2002 წელს დაარსდა და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში მესამე ყველაზე ძველი ფედერაციაა. დავით ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით აღნიშნულმა გუნდმა შეძლო და არაერთხელ წარადგინა საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, იყო მთელი რიგი წარმატებებიც. დღეს ''GCSF'' პრაქტიკულად ყველა მსხვილი გლობალური ფედერაციის აქტიური წევრია და საკმაოდ დიდი საერთაშორისო რეპუტაციით სარგებლობს, რასაც ქართული დელეგაციის რეგულარული გასვლითი აქტივობებიც ცხადჰყოფს. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტი გახლდათ სექტემბრის თვეში ბოსნია - ჰერცოგოვინის კურორტზე - იაჰორინაზე გამართულ ''ერთა თასზე'' მონაწილეობა, სადაც საქართველოს სახელით

დავით ბერია და დავით ანტონაშვილი წარსდგნენ. ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფურ ეტაპზე ბრწყინვალედ იასპარეზეს, თუმცა ჩემპიონატს 1/8 ფინალში დაემშვიდობნენ. აღსანიშნავია, რომ მოთამაშეებთან ერთად საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების მიღების საშუალება მოგვეცა მე და ფედერაციის მთავარ მსაჯს - საბა კალანდაძეს. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ''GCSF''-სა და ამ მიმართულებით მომუშავე ერთადერთი ონლაინ მედიის - ''CYBER TV''-ს წარმომადგენლებს მოგვეცა მსგავსი უნიკალური შესაძლებლობა. ფედერაციის პრეზიდენტი უკვე წლებია ორიენტირებულია გუნდის პროფესიულ ზრდაზე, რისი საუკეთესო გზაც მსგავს მასშტაბურ აქტივობებში მონაწილეობაა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ზღაპრული ბუნება, რომელიც იაჰორინაზე დაგვხვდა. ამ კურორტმა 1984 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა და იქ არსებული ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად იყო ასოცირებული ზამთრის სპორტთან. ჩვენი აქ დაწყებული მოგზაურობა კი სარაევოს 4 დღიანი ტურით დასრულდა. საერთო ჯამში ბოსნია-ჰერცოგოვინაში გატარებული დღეები იყო დადებითი ემოციებით აღსავსე და საინტერესო. რაც მთავარია - კიდევ ერთხელ გავეცანით საერთაშორისო პრაქტიკას, მივიღეთ გარკვეული გამოცდილება, გავიცანით არაერთი ადამიანი, რომელთანაც მომავალში შესაძლოა შედგეს მნიშვნელოვანი თანამშრომლობა და ა.შ. მიზნები ნამდვილად დიდი გვაქვს - გვსურს ქვეყანაში საბოლოოდ დავამკვიდროთ კიბერსპორტი, როგორც კულტურა, ამიტომაც ვმუშაობთ აქტიურად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის. ვგეგმავთ სხვადასხვა სახის გადაცემებისა და პოდკასტების დაწყებას. უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთან, ხოლო რაც ყველაზე მთავარია უკვე ზედიზედ მეოთხედ - დეკემბრის თვეში გაიმართება წლის შემაჯამებელი კიბერსპორტული

ღონისძიება, რომლის საპრიზო ფონდიც შეადგენს 100.000 ლარს.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რეგიონებში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში კომპიუტერული სპორტის პოპულარიზაციისათვის. მნიშვნელოვანია მეტი ახალგაზრდა დავაინტერესოთ და ჩავრთოთ სპორტის ამ სახეობაში. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ბატონ დავით ჩოგოვაძეს, რომელიც მაძლევს გასვლით აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას. წარმატებები ჩვენს გუნდს!

ცოტნე ეჯიბია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

27 ოქტომბერი - დაიბადა იაკობ გოგებაშვილი

,,ია" ,,აი ია"

რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუდუნება იყო საჭირო, რომ ქართული სიტყვათა ამოუწურავ საგანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვა...

ვინ იცის, მაშინ, როცა თავისივე სახელის ეს საალერსო დასაწყისი იპოვა, გული როგორ აუკანკალდა. ვინ იცის, რა ღვთაებრივი მღელვარებით ათრთოლდა, როცა გონება თითქოს ერთბაშად გაეხსნა და ეს პაწია ინი და ანი მძივის თუ ქოთნის ტარის ნატეხებივით თავდაპირველად ასე ხმოვნად რომ დალაგა. დაალაგა და უცებ ია წამოუჟუჟუნდა. მერე მას გვერდით შებრუნებული იგივე სიტყვა ძმურად მოუსვა და ხომ ყველას გვჯერა, გვჯერა რომ სიხარულით დაიძახა: ,,აი იაო!..

დემნა შენგელაია

ხსოვნა

კანდიდ ჯალაღონია

დინჯი, გაწონასწორებული, ფუტკარივით მშრომელი ადამიანი და ჭეშმარიტი სენაკელი იყო. მას აზრს ეკითხებოდნენ, მის სიტყვას წონა ჰქონდა, გაკეთებულ საქმეს ფასი. უყვარდა ახალგაზრდები, მეგობრები, გზის გაკაფვაში ეხმარებოდა მათ.

დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა. კანდიდ ჯალაღონიას ცხოვრების კრედო - უკეთესი მერმისის შენება და ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო. მტკიცე საყრდენი იყო ოჯახისათვის, მეუღლისათვის, შვილებისათვის. უდიდეს სულიერ და მატერიალურ დოვლათს ქმნიდა.

გაზეთ ,,კოლხეთის" აქტიური მკითხველი და ხელმომწერი იყო, რედაქციას ხშირად სტუმრობდა, რადგანაც მეგობრული და ახლო კონტაქტები ჰქონდა აწ განსვენებულ თამაზ კანკიასთან.

ვალმოხდილი წავიდა იმიერ საუფლოს, უფალმა გაანათლოს მისი სული.

ნეტარ იყოს მის სახელზე დანთებული ყველა სანთელი.

,,კოლხეთელები"

100 წელი ელგუჯა გოგაძის დაბადებიდან

საქართველოს სიძველეების ცნობილი მკვლევარი

2024 წელს შესრულდა ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების აღიარებული მკვლევრის – ელგუჯა მინას ძე გოგაძის დაბადებიდან 100 წელი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვან მეცნიერთანამშრომლად. 1970 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონ ელგუჯა გოგაძის სახელს უკავშირდება საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის მეცნიერული შესწავლა. 1948 წლიდან მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა სამგორის, თბილისის, ლილოს, დიდგორის, დიდი თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციებს.

მისი გამოკვლევებიდან უაღრესად ფასეულია 1972 წელს ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფია ,,თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი". თრიალეთის კულტურის სახელით ცნობილია ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც გამოვლენილი და შესწავლილია ძირითადად თრიალეთის ტერიტორიაზე და მის მეზობელ რაიონებში. თრიალეთის კულტურის ძეგლებად უმთავრესად მიიჩნევა ყორღანული სამარხების, გორასამარხების კულტურა, რომელთა ნაწილი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულით (ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეები), ნაწილი კი შუა ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) თარიღდება. თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის მემკვიდრეა, რომელიც ხელოსნური ნაწარმის თავისებური ფორმებით, მხატვრული სტილით, დამზადების ტექნიკით და დაკრძალვის წესით, ძირითადად დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს. მის შესწავლას ეძღვნება აგრეთვე ლამარა ჟორჟიკაშვილისა და ელგუჯა გოგაძის თანაავტორობით 1974 წელს რუსულ ენაზე გამოცემული თრიალეთის ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლების კატალოგი.

1981 წელს არქეოლოგმა ც. დავლიანიძესთან თანაავტორობით გამოსცა წიგნი ,,გორაძირი". მონოგრაფიაში შესწავლილია საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულთან, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კმ დაშორებით აღმოჩენილი ძვ. წ. VII-IV სს. არქეოლოგიური ძეგლი, წარმართული სატაძრო კომპლექსი სამაროვნითურთ.

ელგუჯა გოგაძე წლების მანძილზე სათავეში ედგა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მის სახელთანაა დაკავშირებული სენაკის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში გათხრილი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის I ნახევარი) ძეგლების შესწავლა. ამ ძეგლთა დახასიათება და გათხრების მსვლელობა, კულტურულ ფენათა სტრატიგრაფია, პერიოდიზაცია და სხვა საკითხები მკვლევარმა სრული ანგარიშის სახით ცალკე წიგნად გამოსცა 1982 წელს (იხ. ე. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით)).

ნაშრომის შესავალში მკვლევარი საუბრობს 1967-1981 წლებში ნოსირი-მუხურჩის ჯგუფის ნამოსახლარებზე წარმოებული გათხრების შესახებ და თავის წიგნს წარმოგვიდგენს როგორც სათანადო არქეოლოგიურ მონაცემთა ინტერპრეტაციის ცდას. არქეოლოგიური ექსპედიციის მრავალწლიანი საველე მუშაობის შედეგები იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მასალა დამუშავებულიყო და შესულიყო სპეციალურ სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნოსირის არქეოლოგიურ ექსპედიციას 1967-70 წწ. წარმატებით ხელმძღვანელობდა ძველი კოლხური კულტურის ცნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დომენტი ქორიძე. მისი თაოსნობით და ენთუზიაზმით წამოწყებული საქმე, ბატონ დომენტი ქორიძის გარდაცვალების შემდეგ, ასევე დიდი წარმატებით გააგრძელა არქეოლოგმა ელგუჯა გოგაძემ, რომელსაც, ზემოთ დასახელებულ ნაშრომთან ერთად, ექსპედიციის სხვა წევრებთან თანაავტორობით, ექსპედიციის მუშაობის არაერთი ანგარიში და სტატია აქვს გამოქვეყნებული. მრავალთაგან აქ დავასახელებ რამდენიმეს: ,,ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის შედეგები". ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია. მოკლე ანგარიშები. თბ., 1969 (თანაავტ. დ. ქორიძე), ,,ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები". საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971 (თანაავტ. დ. ქორიძე), ,,ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები". არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971 (თანაავტ. დ. ქორიძე); ,,ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები". არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წ. (მოკლე ანგარიშები) (თანაავტორი გ. ჯავახიშვილი), თბ., 1972; ,,ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972-73 წწ. მუშაობის ანგარიში", სსმაე, IV, (თანაავტორები: გ. ჯავახიშვილი, მ. საგინაშვილი), თბ., 1975; ,,ნოსირის ნამოსახლარი". საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XVIII გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, 1974; ,,ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის შედეგები" (თანაავტ.: ი. ქორიძე, მ. დარისპანაშვილი), სსმაე, VII, 1980 და სხვ.

ელგუჯა გოგაძის წიგნში საფუძვლიანადაა შესწავლილი კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის რამდენიმე ძეგლი – ნოსირის ნამოსახლარი, ,,კეკელური ზუგა" და ,,ნაჭვის ზუგა" (სოფ. მუხურჩა).

(გაგრძელება მერვე გვერდზე)

საქართველოს სიძველეების ცნობილი მკვლევარი

(დასასრული)

პირველ თავში ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი მსჯელობა ნოსირი-მუხურჩის ჯგუფის სხვა ნამოსახლართა კულტურულ ფენებზეც.

ექსპედიციის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვებით და სადაზვერვო გათხრებით ამ ჯგუფის ძეგლები მიკვლეულია სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა ადგილებში.

ასე, მაგალითად, მესამე ნოსირიდან 3 კმ-ზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ტეხურის ნაპირას, ქარსაცავი ნარგავების ბოლოში, სოფ. გეჯეთის ტერიტორიაზე, 1968 წელს ჩატარდა დაზვერვები, ხოლო 1970 და 1974 წლებში მცირე მასშტაბის გათხრები ნამოსახლარ ბორცვზე. მიწის ზედაპირიდან 1-2 მ სიღრმეზე გამოვლინდა ყვითელი თიხის თხელი ფენით გამიჯნული, 0,5 მ სისქის ორი კულტურული ფენა. ქვედა, ნახანძრალი ფენა შეიცავდა გადამწვარი კერამიკის ფრაგმენტებს და დიდი რაოდენობით წითელ ბათქაშს და ცოტაოდენ ცხოველის ძვლებს.

ექსპედიციამ მცირე სამუშაოები აწარმოვა აგრეთვე სოფ. ნოსირიდან ორიოდე კილომეტრზე, ქ. სენაკის მახლობლად, ცემენტის ქარხნის მიდამოებში. მდინარის მოქმედების გამო ნამოსახლარი თითქმის მთლიანად დაზიანებული იყო. მდინარის კალაპოტში შეიმჩნეოდა ძელების ნაგებობა (წყობა).

ექსპედიციამ 1968-70 წლებში სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა სოფ. ვედიდკარში. ნამოსახლარ ბორცვზე გავლებული სადაზვერვო თხრილით გარკვეულ სიღრმეზე შესწავლილ იქნა ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა, რაც წარმოდგენილი იყო კერამიკითა და წითელი ბათქაშით.

1974 წლიდან ექსპედიცია არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა სოფელ მუხურჩაში. ამავე წელს ვიზუალურად იქნა გამოკვლეული ძელური ნაგებობის ნაშთები (სამოსახლო ბორცვის ძელურ წყობათა ტიპისა), რომლებიც შემთხვევით იქნა მიკვლეული ნოქალაქევის მეურნეობის ტერიტორიაზე, თევზსაშენი აუზისა და წყალსაწრეტი არხის მშენებლობის დროს. ეს ადგილი მდებარეობს მუხურჩის ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კმ-ზე. ნაგებობის დიდი ნაწილი ექსკავატორის მიერ იყო დანგრეული და მიწის ღრმა დონიდან ამოყრილი, თუმცა ძელებისა და მორების კარგი დაცულობა მოწმობდა, რომ დანგრევამდე მთელი სიდიდით იყო შემორჩენილი (იქვე, გვ. 38).

1974 და 1976 წლებში მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი სოფ. მუხურჩაში, ,,პეტრეშ ნაკარუზე".

1975 წელს ,,კეკელური ზუგადან" სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მ-ზე, არხის პირას, ადგილ ,,ნაწისქვილევთან", ე. გოგაძის ხელმძღვანელობით გამოვლინდა წინარე ანტიკური კერამიკით გადატვირთული კულტურული ფენა.

ე. გოგაძის ვარაუდით, ამ ფენის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს მძლავრი კულტურული პლასტი, რომელიც ახლოს მდებარეობს ამ ადგილიდან. ესაა მდ. აბაშის შვეული ფლატე, ,,პასიკოს ტობას" სახელწოდებით. ფლატეზე გამოსულ კულტურულ ფენაში შეინიშნება კერამიკის ნატეხები და სხვა მასალა. ეს ორი უბანი ერთმანეთს დაახლოებით 100-150 მ-ით არის დაშორებული. 1981 წელს, მდინარის სანაპირო დამბის მშენებლობის დროს, ამ უბანში დადასტურდა კულტურული ფენის არსებობა. ,,ეს უბანი წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანის სხვადასხვა ფენებს უნდა მოიცავდეს" (იქვე, გვ. 38).

1980 წელს მუხურჩის ჩრდილოეთით, განაპირა ზოლში მდებარე ადგილ ,,ჭყონიას ტყეზე" ექსპედიციამ მიაკვლია არხით ორ ნაწილად გაყოფილ მრავალფენიან მოზრდილ ნამოსახლარს, რომელშიც ნიადაგქვეშა დონეზე გამოირჩევა მძლავრბათქაშიანი კულტურული ფენა.

ექსპედიციის მიერ შესწავლილი და გამოვლენილია აგრეთვე ანტიკური ხანის ნამოსახლარები: პლანტაჟიანი ფართობის დიდი ნამოსახლარი კეკელური ზუგასთან (გათხრები წარმოებდა 1975 და 1980 წწ.), დიდი, შემაღლებული ნამოსახლარი ,,ნაჭვის ზუგასთან" (გამოვლინდა 1981 წელს), ანტიკური თუ წინარეანტიკური ხანის მძივების განძის აღმოჩენის ადგილი სოფ. ზედა ნაგვაზაოში (გაითხარა 1980 წელს).

1977 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ხორშში ექსპედიციამ სადაზვერვო გათხრები ჩაატარა გორაზე, რაც ,,ლომურის" სახელით არის ცნობილი. გზის მშენებლების მიერ ხრეშის მოსაპოვებლად გაკეთებულ კარიერზე თითქმის მთლიანად იყო მოხსნილი ძველი ნამოოსახლარის ფართობი. გორის თხემის ჩრდილეოთ ნაწილში გაითხარა რამდენიმე ღარიბული სამარხი, გვიანანტიკური თუ ადრეფეოდალური ხანისა. თხემის ქვემო ნაწილი, კარიერიდან მოშორებით, როგორც ე. გოგაძე აღნიშნავს, შეუსწავლელი დარჩა. კარიერის ადგილას მოპოვებულ იქნა კერამიკული ფრაგმენტები. ე. გოგაძის მოსაზრებით, კერამიკაში გაირჩევა სულ ცოტა, ორი სხვადასხვა პერიოდის ჯგუფი. ერთი უნდა ეკუთვნოდეს ადრეანტიკურ ხანას, ხოლო მეორე (შავი კერამიკა) – ბრინჯაოს ხანას. კერამიკის უდიდეს ნაწილზე შერჩენილი ხანძრის კვალის გათვალისწინებით, მრავლად მოპოვებული ბათქაშის ნატეხები, უფრო ზედა, ადრეანტიკურ ფენებს მიეკუთვნა (გვ. 38-39).

ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგიის, ეკონომიკური და კულტურული დონის მრავალმხრივ პრობლემატურ საკითხებზე ე. გოგაძის მიერ გამოთქმული საგულისხმო მოსაზრებები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

1. რამდენადაც ნოსირი-მუხურჩის ძეგლთა უმეტესობის ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის კონკრეტული მონაცემები ძალზე ცოტაა, ამ საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი შეფარდებითი ქრონოლოგია. პირველ რიგში ესაა ყველაზე უფრო სანდოდ დათარიღებული ძეგლი – 1974 და 1976 წლებში გათხრილი მუხურჩის სამაროვანი. მასში გამოიყოფა ორი კომპლექსური ჯგუფი – ადრეული (ძვ. წ. VIII ს.-VII ს. I ნახევარი) და მომდევნო ხანისა (ძვ. წ. VII ს. II ნახევარი - VI ს.).

2. მუხურჩის სამაროვნის ორი კერამიკული ჯგუფი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვიანი ჯგუფი მჭიდროდ უკავშირდება ადრეანტიკურ კერამიკას, რომლის დაუზიანებელი ნაწილი ექსპედიციამ შეისწავლა ,,კეკელური ზუგასთან" მდებარე პლანტაჟიან ფართობში, სოფ. მუხურჩის ტერიტორიაზე. ეს ფენა დაახლ. ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება. სამაროვნის ადრეული ჯგუფის კერამიკა (მცირე ზომის შავთიხიანი ჭურჭელი, ხშირად შვეული კანელურებით) უახლოვდება ნოსირის IV ფენის კერამიკას (ადრერკინის ხანა).

3. კოლხეთის ბარის მოსახლეობის უმთავრეს სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაზეც პირდაპირ მიუთითებს ნოსირი-მუხურჩის ძეგლების ყველა ფენაში აღმოჩენილი ხელსაფქვავები, ქვასანაყები, სანაყები, სასრესები, პურის საცხობად (და შეიძლება საჭმლის შესწავვავად) გამოყენებული მრგვალი ბრტყელი რიყის ქვები და სხვ., ასევე კაჟის ნამგლისპირები (ჩასართები), მიწის საჩიჩქნი ირმის რქის იარაღები, ქვის თოხისებური იარაღი, ამავე მიზნით გამოყენებული წერაქვისებური იარაღი; ასევე ხორბლეულის ნაშთები (დიკა და მახა), ფეტვის მარცვლები. მრავლისმეტყველია ვაზის აღმოჩენა ნოსირის ბორცვის ქვედა ფენაში. მიკვლეულია ოსტეოლოგიური მასალაც – ტანმორჩილი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, შინაური ღორის, წვრილფეხა რქოსანის (თხა, ცხვარი) ძვლოვანი ნაშთები. სხვადასხვა ჯგუფის წვრილი ნაკეთობები – ქვისა და თიხის კვირისტავები, საწაფები, ძვლის ნემსები თუ მახათები, სალესი ქვები და სხვ., საოჯახო ხელსაქმისა და შინასაქმიანობის საჭიროებებზე მეტყველებს. მელითონეობისა და ლითონის გამოყენებაზე მიუთითებს ლითონის ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბი ნოსირის ბორცვიდან, გადადნობილი ლითონის გადმოსასხმელი პატარა ციცხვები, ლითონის იარაღით დამუშავებული ხის მასალა (ფიცრისებურად გამოთლილი ბრტყელი ძელები, ყავრისებური თხელი ფიცრები, ბოლოებგადაჭრილი მორები ტეხურისპირა, ადრეანტიკური ხანის ფენაში და სხვ.)

4. ნოსირი-მუხურჩის სამოსახლო ბორცვებზე ჩვეულებრივად ორი ძირითადი ტიპის ნაგებობა უნდა არსებულიყო: სქელი მორებით ან შედარებით ვიწრო ძელებით ამოყვანილი, ჯარგვალისებური წყობის კედლებით, და წნულკედლიანი. ორივე ტიპის კედლები გარედან თიხით იყო შელესილი.

5. თიხით ნაგები ხელოვნური ბორცვის უმთავრეს დანიშნულებას კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებში წარმოადგენდა მოსახლეობის საცხოვრებელ სათავსოთა დაცვა წყლის მოძალებისა და სინესტისაგან. წყლისა და სინესტისაგან თავდასაცავად უთუოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა სადრენაჟო თუ ჰიდროსაიზოლაციო საშუალებები, რაზეც უნდა მიუთითებდეს ჩაღრმავებები გრუნტში, კეკელური ზუგასა და ნოსირის ბორცვებზე, ასევე სხვადასხვა წყობის ძელების, სოლების, ხის წვრილი ნათალი ნაფოტების თუ ბურბუშელას, ხმელი მცენარეული მასის, ფოთლებისა და წვრილი ტოტების საფენების, ქანისებური მასის გროვების, წვრილი რიყის ქვებისა და კენჭების აღმოჩენა ნოსირის ბორცვის ღრმა დონეებზე. მეთუნეობისა და კერამიკული ნაწარმის მაღალი ხარისხი მოწმობს ნოსირში ამ დარგის წამყვანი საწარმოო ცენტრის არსებობას.

ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხომურში, მდ. ოჩხომურის ქვედა მარჯვენა ტერასების ზოლში შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ ნაკეთობათა განძი 140-მდე ნივთით. განძი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიკვლია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ბატონების – ელგუჯა გოგაძისა და ჯონი აფაქიძის ხელმძღვანელობით.

განუზომლად დიდია ბატონ ელგუჯა გოგაძის ღვაწლი საქართველოს არქეოლოგიური სიძველეების გამოვლენისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. თითქმის ექვსი ათეული ათეული წელი დიდი რუდუნებით და სიყვარულით ემსახურებოდა იგი ამ საქმეს. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ძვირფასი შენაძენია საქართველოს არქეოლოგიისათვის.

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი,
ფოთის N15 საჯარო სკოლის
წამყვანი პედაგოგი

შოთა ნიშნიანიძე

აფხაზური კანტანტა

ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან,
ბადეს შლიდა და შვილდისრით ტყეში
ნადირს არბევდა...
ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად,
ბეჭზე ორბი შეუფრინეს "ურაიდა-რაიდა ".
გადიფრინეს ყრმობის წლებმა და აფხაზურ-მეგრულით
ცხრა ლამაზმა ცხენოსანმა გადმოტოპა ენგური.
II
რა პატარა ხარ! (ალბათ ცრემლს თუ აღემატები!)
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სიხარულს იტევ.
მანდ, აფხაზეთში დაგვიგია კაკანათები,
აქ კი საფარში ვუჯექით ჩიტებს.
ძიძიშვილობდნენ წინაპარი სახლიკაცები
და მხარზე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელოსი.
ქორი, წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში.
ჩვენს მონადირეს აჯავრებდნენ თქვენი ჩხიკვები,
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს ქანჩახებს რქებით ეკიდა
და მორდუ აქეთ თუ როდესმე დააცხიკვებდა,-
ხვიჩას სიცოცხლე! - ეძახოდნენ აფხაზეთიდან.
ერთ ცას, ერთ ჰაერს, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ,
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს.
ხვიჩა რომ მოკლეს ბრანდენბურგთან ორმოცდახუთში,
თურმე აბრსკილის ლექსს მღეროდა,
ლექსს სათაყვანოს...
შავი ქაღალდი მამამძუძემ მოფშვნიტა მუჭით,
ძიძის კივილმა შეძრა მთელი სამურზაყანო.

III
ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.
მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები,
ლოცვით, მადლობით,
აღსრულებით მითრთის ტუჩები..."
ეგ დალალ-კავი, ეგ მანდილი მოიშილიფე,
არ დამემდურო, არ მიწყინო, შენი ჭირიმე,
თუ მორდუსავით ვერ მოგხედე, ვერ მოგიკითხე, -
მუდამ შენთან ვარ, შენკენ მიხმობს ფიქრი დღითიდღე,
შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი,
ყრმობის ზღაპარო,
მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ.
IV
ოდიშში ვარ,
ქორწილში ვარ... ცხენს ვაჭენებ... ჰაიდა...
"ოდოიას" გადმოუხტა "ურაიდა რაიდა"...
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,
ზედ სიმებად ლერწებია და სხივები ცისკრული.
წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...
მოწამეი ხარ, შენ საქართველო –
ერო ფეხბედნიერო და...
ჩანს ოდებზე კოლხთა ღერბი, ღერბი სიმინდ-ჯიქურის
და აფხაზურ ცხენის ნალი ავგაროზად მიკრული.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33